ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

31.01.2022

EU4Culture: მობილობის კონკურსი ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალებისთვის

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი EU4Culture აცხადებს [მობილობის კონკურსს] ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალების მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: აზერბაიჯანი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

კონკურსის პირველი ფაზა იწყება 2022 წლის 31 იანვარს და მოიცავს დაფინანსების შესაძლებლობას სტაჟირების, სასწავლო ვიზიტების, კონფერენციების, პროფესიული განვითარებისა და სხვა აქტივობებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას და კულტურათაშორის დიალოგს.

კონკურსი მოიცავს სამი ტიპის მობილურობას:

1. მოკლევადიანი მობილურობა (7-10 კალენდარული დღე) – 1500 ევრომდე
2. საშუალოვადიანი მობილურობა (5 კვირამდე) - 3500 ევრომდე
3. გრძელვადიანი მობილურობა (12 კვირამდე) - 5000 ევრომდე

მობილობის პროექტები შეიძლება განხორციელდეს 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?

18 წელზე უფროსი ასაკის ხელოვანებსა და კულტურის პროფესიონალებს, რომლებიც არიან მოქალაქეები და აქვთ ამჟამინდელი ლეგალური რეზიდენტის სტატუსი აზერბაიჯანში, მოლდოვას რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში, ან არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეზიდენტები.

როგორ ხდება კონკურსში მონაწილეობის მიღება?

აპლიკანტებმა უნდა მოამზადონ სამოქმედო გეგმა საერთაშორისო მობილობის ბიუჯეტისთვის ონლაინ განაცხადის ფორმის გამოყენებით და წარადგინონ გოეთეს სააპლიკაციო პორტალზე (GAP).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მობილობის კონკურსის გზამკვლევი.

კონკურსის ბოლო ვადაა: 2022 წლის 8 აპრილი, 18:00 (ადგილობრივი დროით).

მობილობის საგრანტო სქემა მიზნად ისახავს გაამლიეროს კულტურათაშორისი დიალოგი და ხელი შეუწყოს ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალებს შორის ცოდნის გაზიარებას, მხარი დაუჭიროს მათ პროფესიულ მობილობას და შექმნას კავშირები საერთაშორისო თანამშრომლობისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში,

EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის (წამყვანი პარტნიორი), დანიის კულტურის ინსტიტუტის, ჩეხეთის ცენტრებისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მიერ ხორციელდება.

განაცხადის პროცესთან დაკავშირებით შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ხატია ჭოხონელიძეს, EU4Culture-ის კოორდინატორი საქართველოში, ელ.ფოსტის მისამართზე: Khatia.Tchokhonelidze@goethe.de

GOETHE INSTITUT · INSTITUT FRANÇAIS · ČESKÁ CENTRA CZECH CENTRES · DANSK KULTUR-INSTITUT DANISH CULTURAL INSTITUTE